საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
GEORGIA
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY

MES 9 20 00300564

16/03/2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსკლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოს

რეცენზია

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექცია (COVID-19) დღევანდელ დღეს გლობალური ჯანდაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) ბოლო მონაცემებით მსოფლიოში სულ დაფიქსირებულია COVID-19-ის 110 ათასზე მეტი დადასტურებული შემთხვევა, მათგან მოკვდა 4000-ზე მეტი ავადმყოფი.

საქართველოში COVID-19-ის გავრცელების გათვალისწინებით, ქვეყანაში უნდა არსებობდეს COVID-19-ის კლინიკური მენეჯმენტის სახელმძღვანელო რეკომენდაციები, რომლებიც ინფექციაზე საეჭვო პაციენტების ადრეული ამოცნობის და შესაბამისად, სამკურნალო ღონისძიებების დროულად დაწყების საშუალებას მოგვცემს.
პროფესორ თენგიზ ცერცვაძის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოზე განსახილველად წარდგენილია „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) კლინიკური მენეჯმენტის“ პროტოკოლი/კლინიკური რეკომენდაციები.

აღნიშნული პროტოკოლი/კლინიკური რეკომენდაციები ეყრდნობა ჯანმოს-ს, აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრის, ევროპის დაავადებათა კონტროლის ცენტრის და აგრეთვე ბოლო კვლევების მონაცემებს და განკუთვნილია ექიმი-ინფექციონისტების, ოჯახის ექიმების და აგრეთვე სხვა პროფილის ექიმებისათვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეკომენდაციას ვუწევ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოზე წარმოდგენილ „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) კლინიკური მენეჯმენტის“ პროტოკოლს/კლინიკურ რეკომენდაციებს.

პატივისცემით,

ე. ვაშაკიძე

ელზა ვაშაკიძე
მედიცინის დოქტორი, პროფესორი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი